

ფასი ყველგან 10 კ.

# ახალი გუშაგი

№ 1.

იუმორისტულ-პოპულიარული ალმანახი.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Тип. „Сорапань" Ал. Мумладзе.



დაღლილ-დაქანცული.

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება წერილები ბ. ბ. ი. გომართელისა და შკარცისა.

**შინაარსი:**

ჩანგურს, ლექსი **დარიასი.**—ახალგაზრდა ქალების გაყიდვა გარყვნილ სახლებში და ზომები მის მოსასპობათ, **ხან—ისა.**—გოლგოთა, ლექ. **ნელიკოს.**—ოცნების ბოლო, ლექ ი პროზათ, **მ. გარიყულისა.**—გამოსალმება ლექსი, **ი. ევდოშვილისა.**—კომიკის ბეჭეფისი, **გ. ა—ძისა.**—თავ-ნება ქალი (დასასრული), **ეკ. ისათიანისა.**—სოფლათ პატარა ფელეტონი. **ი. გ—ლისა.**—„ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებს".

## ჩ ა ნ გ უ რ ს.

ვიღებ ჩანგურს, დავკრავ სიმებს
სევდა, ჯავრის გასაქრობათ,
თან ნელის ხმით დავღიღინებ—
წყლული გულის გასათფობათ!

თუმცა სევდა სულს მიხუთავს,
არ ასვენებს გულს დაჩაგრულს;
მაგრამ ამით არ შევმკრთალვარ,
დავღიღინებ ჩემთვის ჩანგურს.

თუმც არვისგან არ მოველი
მიმეგობროს წრფელი გულით,
რომ დამატკბოს, მანეტაროს
უანგარო სიყვარულით,—

მაგრამ ამით მცირე წყენაც
არ უგრძნია ჯერ ამ ჩემ გულს;
ვზივარ ჩემთვის უმეგობროთ
და ნელ ხმაზე დავმღერ ჩანგურს.

სიღარიბეც თან მდევს, მაგრამ
არავის ვთხოვ სამოწყალოს,
არვისა ვთხოვ, რომ ბედ-კრული
შეცოდებით შემიბრალოს.

თუნდ სიმდიდრეც მქონდეს ბევრი
ვერ დაწიტკბობს ვიცი ამ გულს;
მირჩევნია ღარიბულათ
ვამღერებდე ისევ ჩანგურს.

დავმღერ ჩანგურს, ეგებ ერთ დროს
ვიგრძნო მეცა შვება ტკბილი;
გამიმართლდეს სანატრელი
ის იმედი, ის სურვილი...

მაშინ სრულათ სხვა ჰანგებზე
ავაჟღერებ ამ ჩემს ჩანგურს,—
ვახარებ და ვანეტარებ
ჩემს გარშემო ყველა ჩაგრულს!

**დარია.**

## ახალგაზრდა ქალების გაყიდვა გარყვნილ სახლებში და ზომები მის მოსასპობათ *)

**(უსახელო ავტორისა)**

(თარგმანი)

საროსკიპოს პატრონები ამავე გამყიდველს ავალებენ, რომ მან იშოვოს სხვა

*) იხ. ღამის გუშაგი № 2.

მყიდველი უფრო დაშორებულ ქალაქებში,—და ამ გვარათ ხელმეორეთ გაყიდონ ის ქალიშვილები, რომლების იქ ყოლა საფრთხეს წარმოადგენს საროსკიპოსათვის, და თავიდან აიცილონ ის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე, რომელიც შესაძლებელია მოყვეს იმ გარემოებას, უკეთუ ამა თუ იმ ქალიშვილის ვინაობამ მიაწვია მართებლობის ყურამდე და ან ცდილობს ვინმე, რომ გაანთავისუფლოს რომელიმე ქალიშვილი იმ ჯურღმულიდან, რომელშიაც ჩაუგდიათ ქალიშვილი ამ ვაჟბატონებს.

მეტი არ იქნება ამას დაუმატოთ ისიც, რომ იმგვარ შემთხვევებში, როდესაც გასამგზავრებლათ გამზადებულია შერეული პარტია „საქონლისა", ე. ი. ის ქალიშვილები, რომელნიც უკვე გამოვლილნი არიან საროსკიპოებში და ეხლა ერთი საროსკიპოდან მეორე საროსკიპოში მიყავთ გასასყიდათ და იმათ გარდა კიდევ ისინიც, რომელნიც ჯერ საროსკიპოებში არ ყოფილან, და არც თუ დაფარულათ ეწეოდენ პროსტიტუციას, ე. ი. ქალიშვილები, რომელთაც არ იციან რა ბედი მოელით მათ ახლო მომავალში,—დიახ, ამ გვარ ქალიშვილების პარტიას გამოწვრთილ-გამოცდილი ვაჭარი „საქონლისა" ანაწილებს ორ ჯგუფათ. ერთში ათავსებს უკანასკნელ კატეგორიის ქალიშვილებს, ესე იგი, იმისთანებს, რომლებისთვისაც ჯერ ტლანქ და ცინიკურ გარყვნას ხელი არ ჩაუკიდია და ათავსებს მათ თავისთან განკერძოებულ ვაგონში, აქ ის მეტის მეტი სიფრთხილით თვალს ადევნებს, რომ ამ ჯგუფის ქალიშვილები არ მიეკარნენ და არ გამოელაპარაკონ მეორე კატეგორიის ქალებს და ამაში ისინი დაახელოვნა მწარე გამოცდილებამ და მრავალ წლის პრაქტიკამ. ხშირათ, მიუხედავათ ამ სიფრთხილისა და მიღებულ ზომებისა, მომხდარა, რომ გამოუცდელი ქალიშვილები დალაპარაკებიან უკვე გამოცდილებს და ამ უკანასკნელებს, როცა აუხსნიათ მათთვის განვლილი მწარე დღეები და ისიც თუ სად ან რისთვის მიყავან ისინი და ან რა მოელით შემდეგში— გადმომხტარან მატარებლიდან მახლობელ სადგურზე და დამფრთხალნი აქა იქ გაფანტულან და მიმალულან.

ჩვენ მაინცა და მაინც ძირფესვიანათ არ შევეხებით იმ სხვა და სხვა ზომებისა და საშვალებების სისტემას, რომელსაც ხმარობენ საროსკიპოების პატრონები და მაჭანკლები, როდესაც ნაყიდი ჯერ კიდევ ჩირქ-მოუცხებელი, გამოუცდელი ქალიშვილი უნდათ გარდაქმნან უუგარყვნილეს როსკიპათ, უსიტყვო მხევლათ, სრულიათ დაამახინჯონ ზნეობით, რომლის გულიც უგრძნობელი უნდა იყოს და ზერელეთ უცქერდეს არამც თუ ქალის პატიოსნებას, არამედ ყველა მას, რაც კი კარგი რამ მოეპოვება ადამიანს. კაცს ასე ეგონება, რომ ამგვარათ ადამიანურ ყოველგვარ გრძნობების ჩახშობა—ჩაკვლა მაინცდა-მაინც არ უნდა შეადგენდეს ამ გათახსირებულ მოვაჭრეების ჩვეულებას, მაგრამ უამისოთ გარყვნილების მსხვერპლი ვერ მოუტანს თავის ბატონ-პატრონებს მისგან მოსალოდნელ მოგებას.

რომ დავახურათხატოთ ნამდვილი გაუვალი მდგომარეობა ამ გარყვნილების უბედურ მსხვერპლთა საროსკიპოებში, მოგვყავს ერთი ამ მსხვერპლთაგანის ნაამბობი, რომელსაც ექიმი ოკოროკოვი თავის ბროშიურაში გადმოგვცემს.

„მე დედა მომიკვდა ჯერ ისევ ბავშვობის ხანაში და როცა მამაც მომიკვდა მაშინ 10 წლისა ვიყავი. დროებით უცხო ხალხმა ამიყვანა გასაზრდელათ, შემდეგ თვითონვე დამიქირავეს მოსამსახურეთ და თვეში ორ მანეთს ვიღებდი. 15 წლისა ვიყავი, როდესაც უკანასკნელი ადგილიც დავკარგე და ჩემმა ქალბატონმა ერთი გროშიც არ მომცა უკანასკნელი თვის ნამსახურში. ორ-სამ კვირას ვეძებდი ადგილს, მაგრამ ვერ ვიშოვე. ერთხელ ქუჩაში შემხვდა ვიღაც სუფთათ ჩაცმული მანდილოსანი და რა შეიტყო, რომ ადგილზე არ ვიყავი წინადადება მომცა გავყოლოდი მას მოსკოვში მისი ნაცნობის ბავშვების ყურის მგდებლათ. ღამე მის სახლში გავატარე და დილით კი ამ ქალმა მომცა წერილი, (рекомендательное письмо) ამიღო მოსკოვამდის რკინის გზის ბილეთი და ვაგონში ჩამსვა. მე ჩავედი მოსკოვში, წერილი დაბეჭდიარ იყო და ჩემი თხოვნით ერთმა მგზავრთაგანმა წამიკითხა და აი რა ეწერა შიგ: „ეს ქალიშვილი ჯერ ჯერობით ზევით არ აუშვათ. უფრო გვიან მოახერხეთ. მშობლები არა ყავს და სხვა-და-სხვა ხალხთან იყო.

მე ასე მეგონა, რომ ეს წერილი გამოწვეული იყო ამ პატიოსან ქალის ჩემდამი სიბრალულით. შემდეგ კი მივხდი, რომ „ზევით აშვება" ნიშნავდა საროსკიპოში მცხოვრებ ქალებთან გარევას და უკანასკნელი ნაწილი წერილისა ნიშნავდა არა სიბრალულს, არამედ იმას, რომ მე უმწეო ვიყავ და, სადაც უნდა ვყოფილიყავ და დაღუპულიყავ, არავინ დამიწყებდა ძებნას. წერილზე ნაჩვენებ ადრესით ვიპოვე ის სახლიც და ზარი ჩამოვკარ. „შენ ვოლოგდელი ხარ, იულია პეტროვნამ რომ გამოგზავნა"? - შემეკითხა მოსამსახურე ქალი (თურმე ჩემი წამოსვლა დეპეშით უცნობებია.) მე მიუგე: „დიახ!" შემდეგ მიმიყვანეს ხაზეინებთან, მომიტანეს საჭმელ-სასმელი და, როცა ქალბატონმა იულია პეტროვნას წერილი წაიკითხა, მკითხა: „შენ იცი, როგორ სამუშაოს მოვითხოვ შენგან?"

— მე იულია პეტროვნამ მიბრძანა, რომ ბავშვებს უნდა უგდო ყური, მიუგე მე.

— სრულიათაც მაგისთვის არ გამოუგზავნიხარ, მიპასუხა ქალბატომმა. აი გეტყვი რისთვისაც გამოგგზავნა, და ამიხსნა, თუ რა ხელობისთვის გამომგზავნა აქ.

გაიგე თუ არა ეს ამბავი მწარე ტირილი წამსქდა და არ ვიცოდი, რომ კანონით, როგორც მცირე წლოვანს, უფლება მქონდა მომეთხოვა განთავისუფლება და თუ არ მსურს აქ დარჩენა, სახლში დაბრუნება. ქალბატონმა რომ ჩემი მწუხარება დაინახა მითხრა, რომ „ჩვენ ძალით არ გიჭერთ, სადაც გინდა იქ წადიო". სადღა უნდა წავსულიყავ?! ჩემი ერთი მანეთი და ათი შაური, რომელიც მე მქონდა გზაში სულ შემომეხარჯა, ჩემ სამშობლო ქალაქ ვოლოგდაში მთელი სამი კვირა ვეძებდი ადგილს და ვერ ვიშოვე და მოსკოვში როგორღა ვიშოვიდი, როდესაც არც ქალაქის მდებარეობა ვიცოდი, არც ნაცნობები მყავდა და ვოლოგდაში წასასვლელი ფულიც არ მქონდა, ქალბატონმა რა ნახა, რომ მე ჩავფიქრდი და ტირილი შევწყვიტე,—მომეფერა, გამომიტანა მეორე ოთახიდან ოქროს ბეჭედი, საყურეები, სამაჯური და რამდენიმე აბრეშუმის კაბა და მითხრა: „აი უყურე,—ყველა ეს შენი იქნება თუ აქ დარჩები ერთი თვე მაინც და მერე თუ არ მოგეწონება მე ჩემი ხარჯით გაგისტუმრებ ვოლოგდაში." ასე მათათბირებდა, იმდენ კარგ რამეებს მპირდებოდა, რომ მეც დაუჯერე და ჩემი სისულელით დავთანხმდი. ან და მეტი რა ჰკუვა მომეთხოვებოდა 15 წლის გოგოს? მხოლოდ გვიან შევიტყე, რომ კანონით უფლება არ ქონდათ მიეღოთ ჩემისთანა მცირე წლოვანი ქალიშვილები საროსკიპოებში, მაგრამ ჩემა ხაზიაიკამ კანონსაც გვერდი აუხვია: ვითომდა მე პროსტიტუტკა კი არა, მისი ბავშვების მომვლელი ვიყავი. გავატარე ერთი თვე, ყველაფერი შემძაგდა და ვთხოვე ჩემ ხაზიაიკას დაპირებისამებრ ჩემ სახლში გაევგზავნე. გაიგო თუ არა ხაზიაიკამ ჩემგან ჩემი თხოვნა, სრულიათ შეიცვალა ჩემთან ხასიათი: „დამიბრუნე ჩემი ორმოცი მანეთი, მომიგო მან,—რომელიც შენი გულისთვის იულია პეტროვნას მივეცი და აქედან დაიკარგე!" სად უნდა მეშოვა ამდენი ფული?!

მთელ ჩვენ ნავაჭრს ხაზეიკა იჯიბავდა და ჩემი ფული კი მე არა მქონდა. დამრჩენოდა მხოლოდ ერთი იმედი, როგორმე გავპარულიყავ და გავქცეულიყავი იქიდან. მაგრამ საროსკიპოდან გაქცევა ხომ ადვილი არ არის—შეუძლებელია. ან სად და როგორ უნდა გავიქცე? ჩემი „პასპორტი" იმათა ქონდათ, მოსკოვში არავის ვიცნობდი, ქალაქს არ ვიცნობდი და არც ფული მქონდა! ჯერ პირველ დღიდანვე ხაზიაიკა მარტოს არსად მიშვებდა და, როცა ექიმთან მგზავნიდენ გასასინჯათ, თან ან ეკონომკას, ან მოსამსახურე ქალს და ან საროსკიპოში დიდი ხნით ნამყოფ ქალს, ხაზიაიკის ნდობით აღჭურვილს, მატანდენ. ერთი სიტყვით, როგორც მე, ისე ახლათ მოყვანილ ქალიშვილებს ისეთ სასტიკ თვალ-ყურს გვადევნებდენ, რომ ჩემი წასვლა და აქედან გაპარვა არასგზით არ შეიძლებოდა. პირველი ერთი თვის განმავლობაში სასეირნოთ გარეთ არ გვიშვებდენ. მხოლოდ მაშინ გაუშვებენ ხოლმე სასეირნოთ, როცა ქალიშვილი ჩაყურყუმალდება გარყვნილების მორევში, მიეჩვევა ლოთობასა და გარყვნილებას და ისე გადაეჩვევა შრომას, რომ თვითონაც კი არ უნდა საროსკიპოდან გამოსვლა.

ამ გვარათ მე გადავსწყვიტე გაქცევა და ეს ასე ჩქარა არ მომიხერხდა, მთელი შვიდი თვე დავრჩი და რა არ გამოვცადე ამ შვიდ თვეში? ხან ისეთი სასოწარკვეთილება გამიტაცებდა ხოლმე, რომ სიკვდილსა ვნატრობდი. ჩემთვის უფრო სამძიმო და აუტანელი იყო, რომ ხაზეიკის ბრძანებით, სტუმრები უნდა მეცარცვნა, როდესაც სტუმარი დათვრებოდა და დაეძინებოდა აგერ გესმის რომ ხაზეიკა ჩვეულებისამებრ კედელს აკაკუნებს—სჩანს ადექი, ამოუღე სტუმარს ჯიბიდან ფული ის ქისა და კედლის ჭურჭუტანიდან ხაზეიკას გადაუგდე. ამაში მე ჩემ თავს ველარა ვცნობდი! რას იზამ? თუ სტუმარმა თვალი შეგასწრო, რომ სძარცვამ—ცემით მოგკლავს და თუ არც ხაზეიკას დაუჯერე—ხვალ უფრო უარესი ცემა შენიანებისაგან მოგელის. ცემით კი ძალიან ხშირათა გვცემენ, ხან ხაზეიკას საყვარელი, ხან თვითონ ხაზეიკა და ხან საროსკიპოს ცხოვრებას შეჩვეულნი ძველი როსკიპები, რომელნიც ბრმათ ასრულებენ ხაზეიკის ყოველგვარ ბრძანებას".

აი, როგორ ბნელ სურათს გვიხატავს ამისი მთქმელი. როგორც მისი ნაამბობიდან და სხვა მისივე ხელობის ქალიშვილების ნალაპარაკევიდან სჩანს, ეს ძველი, გარყვნილებისა და საროსკიპოების ურცხვ მორჩილებას მიჩვეულნი, ქალები—როსკიპები, შეადგენენ იმ ფუნეს, რომელიც ტონს აძლევს საროსკიპო სახლებში მყოფ ყველა ქალებს და ისინი თავისი მაგალითებით ითრევდენ და ითრევენ ამ მორევში სხვა ახლათ მოსულ გამოუცდელ და ჯერ გაურყვნელ ქალიშვილებსაც. საროსკიპოს პატრონებისათვის, რასაკვირველია, ამ გვარი როსკიპები ძვირფას განძს წარმოადგენენ, რადგანაც ისინი ყველაფერზე მზათ არიან და სხვებზე უკეთესათ და დიდის სიამოვნებითაც ათრობენ სტუმრებს და მერე სძარცვავენ. იმ ქალიშვილის დასჯა, რომელიც არ დაემორჩილება ხაზეიკას და არ შეასრულებს მისი ძარცვის ინსტრუკციას, ჩვეულებრივ ხდება—ცალკე, სხვაზე უფრო დაშორებულ და განმარტოებულ ოთახში, ისე რომ დასასჯელის წივილ-კივილმა ვერ მიაღწიოს დანარჩენების ყურამდე და არ იმოქმედოს მათზე შურის ძიებით, ამასთანავე ვიდრე ქალიშვილს ცემას დაუწყებდენ, ხან-და-ხან ხელ-ფეხს უბორკავენ და მერე სცემენ; ზოგიერთ შემთხვევაში კი, რომ უფრო საგრძნობელი იყოს წამება, დაასველებენ პირსახოცს წყალში, მერე დაგრეხენ მათრახივით და ისე სცემენ, რომ ქალიშვილის ზურგი და მხრები ჩალურჯდ-ჩასისხლიანდეს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მოსკოვში და პეტერბურგში, სადაც საროსკიპოებზე უფრო მეტი ყურადღება აქვთ მიქცეული, ვიდრე სხვა უფრო დაბალ ხარისხოვან ქალაქების საროსკიპოებზე, ასეთი სასტიკი მოპყრობა საროსკიპოების პატრონების მხრივ თავიანთ მსხვერპლებისადმი უფრო იშვიათათ ახწევს ამგვარ წამებას. ესეთი წამება უფრო მცირე მნიშვნელოვან პროვინციალურ ქალაქების საროსკიპოების თვისებასა და ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს.

(შემდეგი იქნება)

**ხან—ი.**

## გოლგოთა.

უმანკო სისხლით შეთითხნილია
მთლათ არე-მარე გოლგოთას მთისა,
და თვით პილატე ხელ გაბანილი—
მუნ დანთხეულ სისხლს არიდებს პირსა.
ელის სამსხვერპლოს ფარისეველთ ბრბო,
აღარ ისვენებს, გული ელევა...
ოდეს თვალს მოჰკრავს ჯალათთა მეფე
სამხიარულო წამებს ეძლევა.
მის შორი-ახლოს, ისკარიოტელს,
ცოფი ერევა ვერცხლის ნდომითა;
ლამობს ათასი ქრისტე კვლავ გასცეს
სისხლის მსმელ ტირანთ თანაგრძნობითა.
მიაქვთ მაშვრალთა წამების ჯვარი,—
აღარ ილევა.. მსხვერპლი მსხვერპლზედა
მიდის იროქებს,—გოლგოთას მთაზე
ზვარაკად ედვის სამსხვერპლოზედა.
მეჯლისი არის, გრძნეულ ძალების
ისმის ყიჟინა, დაფი, ნაღარა...
და თვით სიმართლეს უსამართლობამ
შავი სუდარა გადააფარა!..
მაგრამ ცის გუმბათს, გოროზიანსა,
შუბლი შეუკრავს, განრისხებულა!
ჯანღი, ღრუბლები მისსა წიაღში
სრბოლავს, საოცრათ გამხადებულა!..
სისხლით გაჟღენთილ გოლგოთას მთასა
თავზე დაჰყურებს,—წარღვნას უქადის,
ელვას იზიდავს, მეხსა უმზადებს,
ცეცხლის საწვიმრათ იგი მზათ არის,—
დრო შეურჩიოს, იჭექოს ერთხმათ,
შუა გააპოს ცისა კიდური,
გოლგოთას მთასა ეკვეთოს მედგრათ,
მოსპოს, დალეწოს კერპთა მსახური!..

**ნელიკო.**

## ოცნების ბოლო

(ლექსი პროზათ)

რაზა ოცნება მიფრინავდა მაღლა სივრცეში, ის იქ სტკბებოდა შეუზღუდველ თავისუფლებით. ვინ გაბედავდა, რომ შეეხო იქ იმისათვის, მოეხუშავა უგრძნობი და ტლანქი ხელი? ოცნება იყო მშვენიერება, გამოუთქმელი სილამაზის იყო ის ღმერთი. თვალწინ ეშალა დიდებული სანახაობა: თვალ-მიუწდომელ ველა-მის მიდამოებში ტრიალ-სიცილი, კვნესა-გოდება, ლოცვა და წყევა ცხოვრების ძალას ჩაექსოვა ერთი მეორეში.

ის დაჭყეურებდა სიამაყით ამ ჭრელ სამეფოს: თქვენ ვერ იხილავთ ამ დამატკბობელ ბედნიერებას, მე ოცნება ვარ, ფრთა შესხმული მიუწდომელი, არვის არ ძალგიძთ აღმოხვიდეთ ამ სიმაღლეზე. თუ შესძლებთ, სცადეთ თქვენი ძალა, ჭკუავ-გონებავ—**პატარა კაცს**, რომ გასჭედომიხართ იმ რგვალ ქალაში, არ იცვლით ადგილს, მიჭეონიხართ თითქოს ერთს წერტილს. მუშაობთ მარად, ვით მანქანა დაუცხრომელი; რადაც გინდათ გააკეთოთ, შექმნათ, შეთხზოთ, და შემდეგ იგი წარუდგინოთ კაცობრიობას, რათა მიიღოთ მიწიერი ქება-დიდება. განვლით სიცოცხლეს ამ ყოფაში, და ერთხელაც-კი, ვერ იგრძნობთ თავს თავისუფლათ, იმ ბუმბერაზ მთათ, იმ დიდებათ, იმ სიამაყეთ, მეფეთა მეფეთ ცხოვრების ყოველ ნაწილში, რათაც ვარ მე ამა ქვეყნად მოვლინებული.

ახ! რა კარგია, რა ნეტარი აქ ნავარდობა, ამოდით ძმებო! თქვენც იგემეთ ეს სიტკბოება. ჩვენ ხომ გვაქვს რაღაც ნათესაურ ძმე-

რა გაგშორი, ერთი-ერთ შორის, მაშ რატომ ერთად არ ვეწაფვით ტრფობის ფიალას? ნუ, ნუ იყოყნით, ამოდით მაღლა“...— აქეზებდა ის მის სხვა მოძმეებს. მომხიბლავ ძალით უხატავდა იქ მაღლა ფრენას, იმ ცის ლაჟვარდში, იმ სივრცეში უსრულებელში.

— ჩვენ ვსვამთ აქ თაფლსა, თუმც მეტ წილად ნაღველ ნარევსა. ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, წინ მიუძღვით კაცობრიობას. მაინც რომ მოვიდეთ, აქ რა უეთ ნამდვილ ცხოვრებას. უჩვენოთ იმას რადას აქნევს ადამიანი?

— აქედანა სჩანს მთელი სამყარო, და ეს ისეთი ნეტარებაა... მიუგებდა ის.

— ნეტარებათა გვშორდები, მაგრამ, გონება არის მასაზრდოებელი ადამიანის?— მიუგებდენ მას.

გონება, და ის-კი, ნამდვილ არ იყო იქ.

— ჩამოდი ქვევით, ამოდექ გვერდით. იმრომე, ნეტა რას აქნევ მანდ უაზროთ ტირილ-ხეტიალს?

ის სილამაზე, ის სინაზე და სინარნარე, გამოგისატავს შენ, რომელიც თუთ ევავილებში და მკრთალ ღრუბლებში, არას მოგცემენ ცხოვრებისთვის მასაზრდოებელს?

შესძახა იმას ანგარიშა ჭკვის ნაყოფმა.

წუთნი გარბოდენ, ოცნებას ფრთა ეკვეცებოდა, ლონე მიხდილი ეშვებოდა ნელ-ნელა ქვევით. თუმცა ზიზღს გრძნობდა დედამიწის მიახლოვებით, მაინც ფიქრობდა წუთით სადმე ვარდის ბუჩქზე შეისვენებდა, ძალს მოიკრებდა, ფრთას შეისხამდა, ჭკრავდა კამარას და კვლავ ისევ გაფრინდებოდა.

— „აჰა! მოდიხარ ისევ ჩვენთან, გვიახლოვდები, რათა ჩაება ცხოვრებისა ცეკვა თამაშში? მაშ ჩვენც მზათა ვართ ღირსეულათ გავიმასპინძლდეთ, შემოგთავაზოთ მხაშ ნარევი ტკბილი სასმელი, გულ-ზვიად სტუმარს. ვიცოდით, ამით გათავდებოდა, ეს იყო ბოლო შენი ნავარდის...“ — შესძახეს ყველამ.

ბუჩქიც გამოჩნდა, ოცნება მას ველარ დაუვრდნო. დავარდა გზაზე და გასთელეს იგი **ვირებმა**... სიბრიყვეს-კი, სად აც ნელა მეცინებოდა.

**მ. გარიყული.**

## გამოსალმება

უკანასკნელათ შემოგხედე, ტურფავ, თვალებში,
უკანასკნელათ გადავხედე ალაზნის ველსა,
ნეტა რა იყო იმ დროს შენსა გრძნობათ ტალღებში?—
იქ კი ვხედავდი გულგადაშლილს ნაზ ყვავილებსა.
იქ თავისუფლათ ფრთებსა სცემდა ცელქი ნიავი,
მინდვრის ბილიკას უბერტყამდა ღილის წმიდა ნამს,
ცა, დედამიწა იყო მათი უნჯი მოწამე,
არა მალავდნენ საამიკო ტრფობისა ამბავს.
და მაშინ მე ვსთქვი: ახ მშობელო, წრფელო ბუნებავ,
შენ ხარ საუნჯე უბოროკილო გრძნობა-ფიქრების,
ადამიანი მეფე შენი— შენივე მონა
გრძნობათ სილაღეს რატომ შენგან არ შეისწავლის!?

**ი. ევდოშვილი.**

## კომიკის ბენეფისი

— მალე იქნებით მზათ?— უცებ შემოესმა ნაცნობი ხმა რეჟისორისა კომიკ ა-ძეს, რომელიც თავის პატარა მოსაკაზმავ ოთახში გრიმს იკეთებდა,— რა დაგემართათ აქამდის? ნუ თუ არა გესმით, როგორა ღელავს ხალხი; წარმოდგენა დანიშნული 8 საათზედ, მალე 9-ც იქნება და თქვენ ჯერ კიდევ მზათ არა ხართ. დააჩქარეთ თუ ღმერთი გწამთ, დააჩქარეთ...— გაათავა მოთმინებიდან გამოსულმა რეჟისორმა და სწრაფად ოთახიდან გავიდა.

კომიკი ა—ძე, თითქმის მზათ იყო, მან კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში, აილო მაგარტელი და წითელი უშნო ულვაშები, ცოტათი კიდევ შეასწორა; აიღო ქუდი დაახურა გასვლა. მაგრამ იგი უცებ შედგა, თავისი ღრმა და ლამაზი თვალებით ერთ წერტილს შეაჩერდა და უნებლიეთ სკამზე ჩაიკეცა. გარედან კი აღელვებული ხალხის ხმა მოესმოდა, ხალხი გრგვინავდა; ხალხი, რომელიც მოსულიყო თავის გასართობათ, რომელსაც ერთხანს დაევიწყა დღიური ჭირ-ვარამი და თეატრში თავის დამატკბობელ საყვარელ კომიკის ბენეფისზე მოსულიყო. თხოულობდა დროზე დაეწყო წარმოდგენა და მოუთმენლათ ტაშსა სცემდა. კომიკი ა—ძე კი ამ დროს თავის მოსაკაზმავ ოთახში რაღაც ღრმა ფიქრს გაეტაცნა. მის მუდამ მოცინარე, სანდომიან ლამაზ სახეს, რომელიც უშნო გრიმშიდაც კი გამოსჩანდა, ეტყობოდა, რომ რაღაც ძალიან ძნელი, გულისა და სულის შემხუთავი დიდი უნდა სწოლოდა მის გულს, რომელსაც იგი თავდავიწყებისათვის მიეცა. ის, რომელიც ყოველთვის მზათ იყო თამაშისათვის, რომელიც პირნათლათ ასრულებდა უმადურ თავის მოვალეობას, დღეს რაღაცას შეეფერხებინა. რომ დაკვირვებოდით მის სახეს, ნათლად დაინახავდით, რომ გულისები თავის მღელვარებით, ხმაურობით, რომელიც წინათ ტკბილათ ეხამუშებოდა მის სმენას, დღეს თითქოს სულს უხუთავდა, ნერვებს უშლიდა... ეხლა ახა რა დროს ფიქრი იყო. მაგრამ მას სრულიად დავიწყებოდა თავისი მოვალეობა— მსახიობისა და თავის მოკლე წარსულს იგონებდა. იგონებდა ის იმ მშვენიერ დღეებს, როდესაც მან პირველად შედგა ფეხი სცენაზე, იგონებდა პირველ გატაცებას, რომლითაც მან მიჰყო ხელი სამშობლო სცენის სამსახურს... ყველა ეს ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო, რომ კომიკის გული მის გახსენებაზე აჩქარებით იწყებდა ცემას... მას გაახსენდა პირველი შეხვედრა ელენესთან სცენაზე, სადაც იგი გაიცნო და რომელსაც ბევრჯერ აუღელვებია სიცოცხლის მოტრფიალე, ჯერ კიდევ გაუფუჭებელი გული ა—ძისა.. ის მშვენიერი დღე, როდესაც იგი პირველათ დაელაპარაკა ელენეს, რომლის შემდეგ ისინი ორივენი ხშირათ მჯდარან რეპეტიციის დროს, როდესაც ისინი შემთხვევით თავისუფლდებოდენ, და სადმე მიგდებულ დეკორაციის უკან კუნძზე სასიამოვნო ბაასით შეექცეოდენ.

ისინი მაშინ ორივენი ბედნიერი იყვენ, ეფიცებოდენ ერთმანეთს სიყვარულს და თავდავიწყებით ერთმანეთს ეკროდენ, ხანამ რეჟისორის ხმა მათ გვარებს არ წამოიძახებდა, რომელიც რეპეტიციისათვის სცენაზე ეძახდა. ისინი მაშინ გამოირკვეოდენ, კომიკი სწრაფად მიიღებდა მოცინარე-მხიარულ სახეს და ჩვეულებრივის სიმკვირცხლით შეისვე სცენაზე ჩნდებოდა. მას თითქმის სრულიად არავითარი სულიერი ღელვა არ გამოეცადოს— ასე თავისუფლათ მიჰყვებოდა კარნახის ბუტბუტს და დამსწრეთა საერთო სიცილს იწვევდა. მას სრულიად არ ეტყობოდა ის ვნებათა ღელვა, რომელსაც ერთი წამის წინ განიცდიდა. ელენე კი ამ დროს ძლივს ირკვეოდა, ის ნამეტანი გატაცებული ბუნების პატრონი იყო და უცებ ვერ ფხიზლდებოდა. ის იმავე ტონით განაგრძობდა სცენაზედაც როგორც ა—ძესთან და ეს სხვისთვის შეუმჩნეველი იყო, რადგან იმისი როლებიც მუდამ ასეთი იყო; მას მუდამ უყვარდა ვინმე სცენაზე, მუდამ რაიმე დაბრკოლება ხვდებოდა თავის მიზნის მისაღწევისათვის და ხან სიყვარულით სავსე თვალებით შეხედავდა თავის პარტნიორს, რომელიც მის სატრფოს თამაშობდა, და ხან მისი მშვენიერი შავი თვალები, სიამაყით სავსე, თითქოს აუძლურებდა მის ხელის შემშლელს. მის გატაცებულ, უძლეველ სახეზე შეამჩნევდით, რომ ის ადამიანი, რომელსაც ელენე თამაშობს, სავსე და ნამდვილ ურყეველ ენერგიით მშვენიერი და მომხიბლავი იყო... ყველანი მაშინ ელენეს შესცქეროდენ... მის მონოლოგებში, სადაც მას უნდა გამოეხატა უძლეველი ბუნება გმირი ქალისა, იგი შეუდარებელი იყო. მას ხანდახან ისე გაიტაცებდა როლი, რომ მთელი თავისი არსებით იმ სულიერ ბრძოლას და ვნებათაღელვას განიცდიდა, რასაც ის ტიპი, რომლის დახურათხატება მას ეკისრა. სცენიდან გამოსვლის შემდეგ იგი ხშირათ ჩაკრობია

გულში კომიკ ა—ძის და ისტერიული ვითინით სცენის გარეთაც განუგრძვია თამაში...

განვლო ხანმა...

კომიკი ა—ძე და ელენე კანონიერათ შეუღლდენ და ერთ ხანს ტკბილათ, შეურყევლათ განაგრძობდენ ბედნიერ ცხოვრებას...

დრო ნელ-ნელა გადიოდა. ელენეს სახეს უწინდელი აღფთოვანება აღარც სცენაზე ეტყობოდა და აღარც კომიკი ა—ძის გულში ჩაკონების დროს. სცენამ მისი ახალგაზდური ბუნება მოხემა... მისი უმანკო გული კომიკ ა—ძეს ეხლა მხოლოთ მოსაგონრათ-ღა დარჩენოდა...

ელენეს დღით-დღე გულცივობა ეტყობოდა და კომიკ ა—ძესთან ცხოვრება უძნელდებოდა... კომიკი ამას ხედავდა და გული უკვდებოდა. აღარ იყო მისთვის ელენე, ის ელენე, რომელიც ოდესღაც გატაცებული ა—ძის სიყვარულით ხშირათ თავდავიწყებას ეძლეოდა... ერთათ ჩაკონებული ბედნიერ წამებს განიცდიდა.

კომიკს ხნიერობა თანდათან ეტყობოდა, მაშინ როდესაც ელენე სიცოცხლით ივსებოდა; მის დამაჩ პირისახეს ჯერ ერთი ნაოჭიც არ გაკროდა და მომხიბლავი მისი სახე სილამაზით იმკობოდა.

ამ დროს მათ სცენაზე შემოვიდა ერთი ახალი მსახიობი, რომელსაც დრამატიულ კურსებზე სწავლა დაესრულებინა და მათ დასში მოარშიყეთა როლებში გამოდიოდა.

მას ყველაფერი ხელს უწყობდა, ნიჭი, სილამაზე და განათლება, რომ მალე იმ ქალაქის საზოგადოების სიმპატია დაეპყრო, ქალაქის ქალები ხომ მოსვენებას არ აძლევდენ; იგი მალე სასიამოვნო სტუმარი შეიქნა ყველა სალონებისა და ყველასათვის საყვარელი. მან არა ერთი ქმარი გააუბედურა, და არა ერთი ქალი იკლავდა გულში მისდამი სიყვარულს.

აი სწორეთ ამ მსახიობის მეოხებით, კომიკის ოჯახურ ბედნიერებასაც ბოლო მოეღო.

ელენე მას ძალიან მოსწონდა და მალეც გაიტაცა ელენეს გული. ელენეს სულ დაავიწყდა თავის მოსიყვარულე ქმარი. ქმარი, რომელიც მის გულისათვის ათას გაჭირვებას გადაიტანდა, ათას მსხვერპლს მიუტანდა თავის სატრფიალო არსებას, თუ კი ელენე ისურვებდა... მაგრამ ახალ მსახიობის გამტაც სილამაზემ იგი მოხიბლა და ა—ძე, რომელიც წინათ თავდავიწყებით უყვარდა, ეხლა მთელი თავისი არსებით შეაძულა.

კომიკი ხშირათ ხედავდა მათ ერთად სადმე მალულათ, რომ არავის თვალს მათთვის არ დაეშალა და ბოლოს მოწოლილი, გულ ჩათუთქული, თავის უნუგეშო მდგომარეობას ემორჩილებოდა. ეხლა იგი ყველა ამას იგონებდა და მისი ჩაკლული და მოწამლული გულ-გონება შველასა სთხოვდა...

—რას მგრებით აქამდის— ხელმეორეთ მოესმა ხმა რეჟისორისა, რომელიც მოთმინებიდან გამოსული ოთახში შემოიჭრა.

— დღეს თქვენი ბენეფისია და თქვენ კი აგრე ზანტათ იქცევით.

ამ სიტყვებმა კომიკი გამოაფხიზლა, მის წინ შეუბრალებელი რეჟისორი იდგა და თავის მოვალეობას ახსენებდა.

— მე ეხლავე .. მზათა ვარ... შეგიძლიათ დაიწყოთ, საჩქაროთ წაილუღლუღა მან და გასასვლელათ მოემზადა.

მესამე ზარი დაირეკა. ხალხის ხმაურობა ერთსანს მისწყდა და თავის საყვარელ კომიკის მოლოდინში, სულგანაბული ფარდის ახდას ელოდენ. აი კიდეც შეინძრა ფარდა და ზანტათ ზევითკენ გაემართა. სცენაზე კომიკი იდგა. უცებ თეატრი ტაშის ცემით და ყვირილით გაიბურა... ხალხი ღელავდა, გმინავდა და თავის საყვარელ კომიკს ტაშის კვრით აჯილდოვებდა... სცენა ვარდებით და ყვავილებით ივსებოდა... კომიკი კი შუა სცენაზე იდგა და ხალხს დაბლა თავს უკრავდა. ყველას ყურადღება მასზე იყო მიქცეული, ყველა მას შეხაროდა და შესციცინოდა, დღეს ყველას საგოგმანებელათ კომიკი გამხდარიყო და თითქოს მასზე ბედნიერი დღეს არავინ იყო...

ხალხი თანდათან წყნარდებოდა. დაიწყო კიდეც წარმოდგენა...

კომიკი დღეს შეუდარებელი იყო... იგი თავის მიხვრა-მოხვრით, ყველა თავის სიტყვებით დამსწრეთა ჰომერიულ სიცილს იწვევდა.

გათავდა პირველი მოქმედება... ხალხი წინანდელზე უფრო აღელდა, ტაშის ცემასა და ყვირილს საზღვარი არა ქონდა; თეატრი თითქოს ბუმბერაზ ყუთათ გადაქცეულიყო, საიდანაც აღელვებული ხმაურობა ისმოდა. საჩუქრებს და ვარდებს დასასრული არ ქონდა...

კომიკი ხალხს თავდაბლა თავს უკრავდა. . თითქოს მასზე ბედნიერი დღეს არავინ არ იყო... დაიწყო მეორე მოქმედება, რომლშიდაც ელენე და ახალი მსახიობი ერთმანეთს უნდა ეტრფოდენ.

ისინი ისე გაეტაცა სიყვარულს, რომ თავდავიწყებით ერთმანეთს ეალერსებოდენ. პიესას კიდევ აჭარბებდენ. იკრავდენ ერთმანეთს გულში და მათი მდუღვარი ტუჩები ერთმანეთს მხურვალეთ ეკროდენ.

კომიკი კი დეკორაციის ნახვრეტიდან ამას უცქეროდა და გულ დაკოდილი მწარეთ ქვითინებდა.

დღეს, როდესაც ყველა მას შეჰხარის, ყველას უყვარს, ტაშის ცემით და საჩუქრებით აჯილდოებენ, იგი ერთი მხრით იძენს სახელს, ბედნიერებას და, მეორე მხრით კარგავს იმ წმიდათა წმინდას, რომელსაც ანაცვალებს მთელ თავის პირად ბედნიერებას, სახელს და იმ ხალხის ბრბოს, რომელიც დღეს მის საქებ-სადიდებლათ მოსულიყო თეატრში... იგი უცებ ჩაიკეტა და მწარე, გულის შემხუთავი ქვითინი ვერ შეიკავა... იგი სტიროდა მწარეთ, გულ ჩათუთქული დასტიროდა თავის მუხთალ ბედს, დალუპულ თავის თავს და არსაიდან შველას არ მოელოდა...

იგი დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ სცენარიუსის ხმას არ გამოეფხიზლებინა, ის უცებ წამოდგა, გაიმართა ტანში და სცენისაკენ გაემართა, მაგრამ, როგორც კი მოავლო თვალი ელენესა და ახალგაზდა მსახიობის განცხრომას, თითქოს იქვე გაქვავდა, უნდოდა თამაში განეგრძო, მაგრამ ყელში თითქოს რაღაც გაეჩხირა, ხმას ვეღარ იღებდა... სუფლიორი მას ტკბილათ აძლევდა სიტყვებს; ის რაღაც უხილავ ძალას შეებოჭა და ხმას არ იღებდა...

მან მოიკრიბა უკანასკნელი ძალა, უნდოდა ხმა ამოეღო, მაგრამ კომიკს სიცილის მაგიერათ ტირილი წასქდა და ულონოთ იქვე მდგომ სავარძელში ჩაეცა... მაგრამ უცებ წამოდგა, ერთი კიდევ გადაავლო თვალი ხალხს, რომელიც მას გაკვირვებით შესცქეროდა, ელენეს, რომელიც ახალგაზდა მსახიობის ალერსს გაეტაცნა და მას ვერ ამჩნევდა; ყველა ამათ კიდევ ერთხელ გადახედა, თითქოს ეზარება მათი დატოვებაო, გამობრუნდა უკან და შევარდა თავის ოთახში და ერთი წამის შემდეგ რევოლვერის საზარელმა ხმამ კულისების არემარე მოიცვა...

კომიკი შუბლ განგმირული იატაკზე ეგდო..

— კომიკ ა—ძის მოულოდნელ სიკვდილის გამო, წარმოდგენა ვეღარ შესდგება.—ჩვეულებრივის კილოთი გამოუცხადა ხალხს სცენარიუსმა.

კომიკის ბენეფისი დასრულდა. ხალხი ხმაურობით თეატრიდან იშლებოდა.

გოლა ა—ძე.

# თავ-ნება ქალი*)

(სამ მოქმედებიანი სურათი)

(დასასრული)

**სურათი 3-მე**

(სცენა წარმოადგენს ევროპიულათ მორთულ ფართო ზალას. სარკის წინ თამრო თმებს გაისწორებს. მერმე აიღებს ხელში კარგა მოზდილ წიგნს „ქალთა კითხვა“ ბებელისა,—ცოტა ხანს ჩაფიქრდება- მერე წიგნს გულში ჩაიკრავს და დაიწყებს ბოლთის ცემას).

**თამრო.** (პუბლიკისაკენ) ღმერთო, როგორ მარწმუნებდენ —წიგნების კითხვა

*) იხ. „ახალი გუშაგი“ № 1.

თვალებს გაგიფუჭებსო, ავათ გაგხდის, გაგაყვითლებს და იქნება ჭლექშიაც ჩაგაგდოსო. მე კი ერთი ორათ გავკეთდი; ცოტათი კიდეც დავჭკვიანდი. ფიქრსა და აზროვნობას შევეჩვიე; მაგრამ ნაღველი არა მშორდება, ხშირათ კიდეცა ვსტირი, მერე რათა? რათა და იმიტომ, რომ მე მართლა ის ვიღაცა გიორგია გონებიდან არა მშორდება, სულ იმისი ფიცი მესმის ყურებში. რა ბოროტი ყოფილა დედაჩემი, რომ საწყალი გიორგი მამაჩემს სამსახურიდან დაათხოვინა, ეგონა თამროს თვალიდან მოვაშორებო, მაგრამ ის კი არ იცის იმ საწყალმა, რომ დაიძინებს თუ არა, სადილის შემდეგ, თამრიკო გიორგისთან არის. ყურს უგდებს—როგორ ებრძვის გიორგი თავის უმეცრებას, როგორ უნდა მალე დაიჭიროს ეგზამენი. ეს ერთი კვირაა გიორგი თვალით არ მინახავს, სულ მინდა გავიქცე იმასთან და ბარათით მეხვეწება: „თამრო, შენ გენაცვალე, არ მოხვიდე ჩემთანო“. ეგებ სხვა შეიყვარა და მე იმიტომ მიშორებს?!. ახლა კი მე ვიცი! მიგიხვდი, ვიცი რა გვრიტებიცა ხართ კაცები—ეშმაკები, ქაჯები! იცოდე, კარგათ იცოდე, გიორგი, რომ თამრო შენზე ეშმაკია! (კარები გაიღება და ზალაში შემოდის სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილი გიორგი, ქუდსა სდებს სტოლზე თამროს წინ და ლაპარაკობს.

**გიორგი**. გამარჯობა თამრიკო! რამ დაგღონა, ჩემო კარგო, ჩემო ჭკვიანო და მასთან კუდიანო მეგობარო?

**თამრო**. იმან რომ შენ, შენ სხვა გიყვარს, სხვა მეგობარი გაგიჩენია!

**გიორგი**. ხუმრობ თუ? აბა რაებს მეუბნები, ქალო, შენი გულისთვის თავი გავიხეთქე და შენ რა მოგლანდებია? შენი ყოფნა ჩემს პაწაწინა ოთახში ტვინს მირევდა, თავბრუს მახვევდა და...

**თამრო**. (მხიარულათ უცქერის გიორგის) გიორგი, ხომ არ მატყუებ? მართლა გიყვარვარ?

**გიორგი**. განა ეჭვი გაქვს?!

**თამრო**. კაცები ყველანი მატყუარები ყოფილან,—ეს რომ მე წინეთა მცოდნოდა, შენ არ დაგიმეგობრდებოდი.

**გიორგი**. არა და ქალები ხართ პატიოსნები! უფრო მეტი ნაწილი ქალებისა არამც თუ საქმროს, ქმარსაც კი ღალატობენ.

**თამრო**. ქვა დაედოს იმ ქალს, რომელსაც პატიოსანი ქმარი ჰყავს, შენსავით მშვენიერი საქმრო და უღალატოს!

**გიორგი**. თამრო, დედას შეურიგდი თუ არა? გეხვეწები შეურიგდე ჩემი სიყვარულისათვის!.. ქართული ანდაზაა: „ხარმა ხარს ურქინა და საბალახოზე მიაგდოვო.“ მეც ასე მომივიდა. მამაშენს დედაშენის სიტყვით რომ არ დავეთხოვე, —მე ამ ქუდს ვერ ველირსებოდი!

**თამრო**. რა ძალიან თავი მოგაქვს მაგ ქუდით?!..

**გიორგი**. (სასოწარკვეთილებით) მაშ რაღა გინდა, ჩემო დედოფალო? (პუბლიკისაკენ) ვაიმე, არ დაიჯერებთ? ახლა პროფესორობას მომინდომებს!

**თამრო**. ისა რომ ნამდვილი განათლებული ადამიანები უნდა ვიყვნეთ!..

**გიორგი**. (მოეხვევა თამროს და მაგრა უჭირავს ხელში) ადამიანები ვართ აბა რა ვართ, მაიმუნები ხომ არა ვართ? მართლა, თამრო! როგორ არის შენი სამკითხველო?

**თამრო**. კარგათ და მშვენიერათ: ბევრი ქართული წიგნები და რუსული ჟურნალ-გაზეთები გამოვიწერე. უბრალო ხალხი ბევრი დადის და გულ-მოდგინებით კითხულობს.

**გიორგი**. ახლა, თამრო, ჩემო კეთილო ანგელოზო, მე და შენ გურიაში უნდა წავიდეთ,—იქ შენ ერთი სკოლა და სამკითხველო უნდა დაარსო, მერე მივაბაროთ ვინმე სანდო პირს და დეე იმან მოუაროს. ჩვენ-კი, ჩემო თამრო, მოვკურცხლოთ საზღვარ-გარეთ, დავეწაფოთ იქაურ მეცნიერებას, ვისწავლოთ ვინემ ლონე არ გვიღალატებს და ჯიბე ნებას მოგვცემს.

**თამრო**. ვინც ერთმანეთს უღალატოს ის, ის მოკვდეს, იმას სული ამოხდეს უცხო ქვეყანაში.

**გიორგი**. თამრო, შენ ერთი საფრთხე გელის, მაგრამ ეს ულვაში ჩემი არ იყოს, თუ არ აგაცდინო! (ულვაშებზე გადაისვამს ხელს).

**თამრო**. რა საფრთხე, ყმაწვილო, არ მეტყვი?

(კულისებიდან ისმის ხმაურობა და ფეხის ხმა. გიორგი აიღებს ქუდს, მოეხვევა თამროს და გადის. თამრო უკან დაედევნება. ზალაში შემოდიან მელანია, მისი მოხუცებული მამამთილი, ქმარი და მაგიდას გარს შემოუსხდებიან).

**მამამთილი**. არ მელოდით განა? მაგრამ ხედავთ თამროს გათხოვების ხმამ როგორ გამომიტაცა! ხუმრობა კი არაა შვილის-შვილის გათხოვება. (ამ ლაპარაკის დროს შემოდის თამრო და რა დაინახავს პაპას მოეხვევა კისერზე) თამრო, ქალო, როგორ მოგწონს ჩემი გამოგზავნილი საქმრო?

**თამრო** ვინა, პაპილო? აი გვერდელა ქარგალი? (იცინის) ხა, ხა, ხა! ჩემი კავალრობა რომ მოინდომა? ღმერთო ჩემო! როგორა სძინავს, როცა ყურს უგდებს ვისმეს, რა სასაცილოთ შლის ხელებს, როცა რასმეს გიამბობს, გეგონება ნაზი ქალი გემუსაიფებაო. ნუ თუ მართლა თქვენი სურვილია, რომ მე, ის სამჯერ ჩემზე უფროსი, გაუნათლებელი, მახინჯი კაცი შევირთო?! მამაჩემი იმაზე უფრო ახალგაზდაა. ის თურმე ეს ოთხი წელიწადია თმასა და წვერს იღებავს, მამას კი ეხლა გამოერია ჭაღარა.

**პაპა**. შე საძაგელო, რაებსა ჩმახამ? შენ არ იცი დარისპანდი როგორი სიმდიდრის პატრონია! და ახლა თუ შენ შეგირთო ჩემ სარჩო-საბადებელს იმის სახელზე დავამტკიცებ, მაშინაც დაიწუნებ?

**თამრო**. (გააწითლდება) მაშინაც და სულ ყოველთვისაც, განა მე ისეთი ღარიბი ქალი ვარ, რომ სიმდიდრისათვის მახინჯი, ჯოჯო, ბებრუცუნა შევირთო?

**ყაფლანი**. თამრო, გაჩუმდი! ვინ მოჰკრა რომ დარისპანდი მახინჯაო?!

**თამრო**. იმის მელოტ თავზე ცხრა „მამაო ჩვენო“ დაიწერება!

**პაპა**. მელანია, ამას რას ვხედავ და რა მესმის? განა შეიძლება დედამ ასე თავისუფლათ აღზარდოს ქალი, რომ იმას არავისი სცხვენოდეს და არ ერიდებოდეს თავის უფროსებისა?

**მელანია**. კარგი მოგეცეთ კარგი ეგ იყო, ვინემ რაღაც გასათხრებელ წიგნების კითხვას დაიწყებდა. ისე წაიგძელა ენა, რომ მე,—დედას ველარ მიცვნია ჩემი თავაზიანი თამრო.

**თამრო**. (გაჯავრებული წამოხტება, პაპა სტაცებს ხელს).

**პაპა**. ქალო, მე ხუთასი ვერსი გამოვიარე შენი გათხოვებისათვის და შენ-კი მირბიხარ?

**თამრო**. (მამას მოეხვევა ყელზე) მამილო, ჩემო კარგო მამილო! ნუ გამათხოვებ, გულის ჭირიმე, მე ჯერ სწავლა მინდა.

**პაპა**. ჩემო რძალო! (მიბრუნდება მელანიასაკენ) შენ არ მომწერე თამრომ „პენციონი“ გაათავაო? მაშ რომელ სწავლაზე ლაპარაკობს?!

**თამრო**. მე მსურს საფუძვლიანათ შევისწავლო მუსიკა და ფრანგული.

**ყაფლანი**. განა დარისპანდი ისეთი სასტიკი კაცია, რომ სწავლას წინ გადაელობოს? ის პირ იქით ხელსაც შეგიწყობს!

**პაპა**. ჩვენ სამთავემ საქმროთ დარისპანდი ამოვირჩიეთ და შენ, გალიაში მომწყვდეული ჩიტივით, რამდენიც გინდა იფრთხიალე!.. არა, ჩემო რძალო?!

**მელანია**. დიახ, ბატონო! მე დარისპანდი ძრიელ მომწონს: ის მეტათ სათნო, ზრდილობიანი, პატიოსნებით სავსე და შრომის მოყვარე კაცია. ჩემო თამრო!

მეც შენსავებრ დიდ უარზე ვიდექი და არა მსურდა მამაშენს მივთხოვებოდი, მაგრამ ხედავ მამაშენი როგორი კაცი დადგა?!

**თამრო.** (თამამათ) შენ კი, ჩემო კარგო დედილო, ისევ იმ საქმის ოცნებაში ამოგდის სული და სულ ის გელანდება ცხადლივ თუ სიზმრათ! ჩემი მამილო კი არ გიყ....

**მელანია.** (გააწყვეტინებს) თამრო, ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მე ვიცი შენი!!...

**პაპა.** ე! რა მესმის? რა სთქვი ქალო, განა არა გრცხვენია?

**თამრო** (აღელვებული) ვთქვი ის, რაც მართალია!

**ყაფლანი.** ესეც ცხადია, ჩემო არამკითხე მოამბევ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ნამდვილია.

**თამრო.** მაშ რაკი ასეა, მე თავცოცხალი არ გავყვები იმ გახრწნილ დარისპანდს!

**მელანია.** მაშ შენი გაკოტრებული, ვილაცა გურული ხომ კარგია?!

**თამრო.** (გველ ნაკბენივით წამოვარდება) ვინ მოგახსენათ, რომ მე იმას მივდევ? მე სწავლა მინდა, სწავლა! გაიგონეთ?! გამოიღეთ ყურებიდან ბამბა! ახლაც არ დამეხსნები..? (თამრო გულ-ამომჯდარი ქვითინებს, შემოდის გადია).

**გადია.** ქალბატონო! ვიღაც ახალგაზდა ქალია და თქვენ ნახვას ნდომულობს.

**მელანია** თვალიც კი გაუტყვრება! ეგ ვიდა მოთრეულა? სთხოვე აქ შემოვიდეს! (ზალაში შემოდის ფერ მიხდილი, გამხდარი, მაგრამ საკმაოთ ლამაზი ქალი ორი ბავშვით. გადია თამროს ყურში რაღასაც უჩურჩულებს. კარებიდან იყურება გიორგი).

**მელანია.** ვინა ბრძანდებით და ან რა გესაქმებათ ჩემთან?

**ახალგაზდა ქალი.** მე, ბატონო, გახლავარ აზნაური ქვარიანის ქალი. ობოლი, უმწეო-უნათესაოთ დარჩენილი.

**მელან.** მერე ეგ ჩვენ რას შეგვეხება?!

**თამ.** (თვალებს იწმენდავს) [აი საწყალი!

**ახალგაზდა ქალი.** მე შავიტყე -ნამდვილი წყაროებიდან, რომ თქვენ ქალს ჯვარსა სწერთ იმ გახრწნილ ზნეობა დაცემულ კაცზე, რომელმაც მე ჩვიდმეტი წლის ობოლი, უპატრონო ღარიბი ქალი მომატყუა, წამართვა უმანკოება, გამიჩინა ორი შვილი და ახლა მიტოვებას მიპირებს!

**თამრო.** (აშფოთებული) ვაი, შე უბედურო ქალო, რა რიგათ მეცოდებიან ეს საცოდავი ბავშვები! მამა! რა ლამაზი ბავშვები არიან. მე ეხლავე ამათ გაუმასპინძლდები (თამრო გაიქცევა და კამფეტებით სავსე კოლოფს მოურბენინებს ბავშვებს და მისთავაზებს. ბავშვები შეშინებული შეყურებენ თვალ-ცრემლიან დედას და კამფეტებზე უარს ამბობენ).

**ქალი.** ჩამოართვით, გენაცვათ! მაგი ბარიშნა ნამეტური კეთილი ყოფილა და ჩემ თხოვნასაც ვიცი შეასრულებს.

**პატარა ქალი.** მართლა, დედას თხოვნას აუსრულებთ და მამას არ წაგვართმევთ?!

**თამრო.** (აშფოთებული ჰკოცნის ორივე ბავშს). არა, ჩემო ანგელოზებო, მე თქვენ მამას არ წაგართმევთ.

**პაპა.** ღმერთო ჩემო! ეს რა გამოცანაა?!

**მელანია.** (შეუტევს ახალგაზდა ქალს) მერე ეგ რა იმისი ბრალია? რათ შესცდი, ვინ გეხვეწებოდა? ყველა ახალგაზდას მაგისთანა ბოლო აქვს. დარისპანდი პირველი ხომ არ არის!..

**ახალ-გაზდა ქალი.** (შემოიკრავს თავში ხელებს) ნუ თუ თქვენ ისეთი გულქვა ხართ, რომ ეს ბალნები არ გებრალებათ? რომ მათ მამას ართმევთ? განა თქვენი ქალიშვილი ისეთი ხნიანია, რომ მაგისთანა ტალახში ამოსვრილ, ხნიან კაცს ცოლათ აძლევთ?

**თამრო.** რაო? რა სთქვით? განა თქვენც იცით რომ მე დარისპანდს მაძლევენ? თქვენ გეხვეწები, გევედრები, მოიწმიდოთ თვალები. მე, მე ვერავის მიმცემენ! მე იმ თავლაფიან დარისპანდს ცოლათ არ გავყვები. მე სხვასთანა მაქვს ცოლ-ქმრობის პირობა.

**მელანია.** სულ ერთია, თქვენ ის ყმაწვილი არ შეგვირთამთ!

**პაპა.** რა სთქვი, ჩემო რძალო! როგორ თუ არ შეირთამს ის წყეული, ის შეჩვენებული ისა?! ამისთანა ცოდო მიუძღოდა და ჩემ უმანკო თამროსა თხოულობდა. ვერ უყურებ იმ არამზადას იმასა!.. (მიუახლოვდება ბავშვებს) ეს საცოდავი თუ არ ებრალებოდა—ამ პატარა ანგელოზებს რას ეუბნება? (ტაშს შემოკრავს) დახე თქვენი ჭირიმე, როგორ გაფუჭდა დრო!? რაებს ჩადიან ეს ჩვენი უცოლოთ დაბერებული ვაჟბატონები!.. აი წყეულიც იყვნენ და შეჩვენებულნიც ამისთანა ცოდვების ჩადენისათვის!

**მელანია.** (მამამთილს) ნეტა რას იწყევლებით და რას იქოლებით! მთელი ქვეყანა მოდებულია მაგისთანა ვაჟბატონებით! რაღა დარისპანდს უნდა გადახდეს სასჯელი?!.

**ყაფლანი.** მელანია, შენ გაჩუმდი და ღმერთს ზვარაკი შესწირე, რომ ეს ქალი ჩვენ ანგელოზათ მოგვევლინა!

**პაპა.** (მიუბრუნდება ქალს) მაშ რით ირჩენდი თავს, შე საწყალო შენა?

**ქალი.** ჩემი ნემსითა და ძაფით! ხანდისხან ის უბედურიც მშველოდა და ძლივით ლუკმას მაწვდის.

**ყაფლანი.** შერთვაზე უარს რათ გეუბნებოდა?

**ქალი.** იმაზე, ბატონო, რომ მე მზითვი არ მქონდა!

**პაპა.** (ამოიღებს ჯიბიდან ას თუმანს და აძლევს ქალს. ქალი არ იღებს. თამრო ართმევს პაპას ფულს და ქალს უბეში უდებს. ქალი უკოცნის თამროს ხელებს და გადის.

**მელანია** (მუხლებზე ხელს იცემს) ვაი ჩემ თავს! თამრო გასათხოვარი დამრჩა!..

**გიორგი** (გამოჩნდება კარებში და თამროს რაღაცას ეჩურჩულება. თამრო უარის ნიშნათ თავს აქნევს. გიორგი ემუქრება).

**პაპა**. თამრო, შვილო! მოდი გენაცვალოს შენი პაპილო, დაუძახე შენ გურულს, გვაჩვენე, იქნება არც ჩვენ დავიწუნოთ!

**გიორგი.** (ქუდით ხელში შემოდის) აქ გახლავარ, ბატონო, თქვენი დაწუნებული სასიძო!

**პაპა.** (სიხარულით მოეხვევა გიორგის და გადაკოცნის. მელანიას გული შეუწუხდება და ყაფლანი აბრუნებს).

**გიორგი** მე დიდი სიამოვნებით შევირთამ თამროს, მაგრამ ეგ არ მომდევს. არ ვიცი რას ელის, ვგონებ, რომ ახლა პროფესორათ უნდა გამხადოს (იცინის).

**თამრო.** (მივარდება გიორგის, ორ-ვე ხელებს დაუჭერს და მამასთან მიიყვანს), აი, მამილო, პაპილო! ჩემი საყვარელი მეგობარი, ჩემი კეთილი ამხანაგი! სიკვდილამდის მე ამას არ ვუღალატებ. ერთათ უნდა ვიმუშაოთ ქვეყნისა და ჩვენი დაჩაგრული ხალხისათვის, ვისწავლოთ და ხალხის განათლებაზე ვიზრუნოთ. ჩვენც გავნათლდეთ ღ სხვაც გავანათლოთ, რომ მამკაცმა ნათლათ პატივი სცეს ქალის პიროვნებას, რომ მაგისთანა დარისპანდებმა აღარ შელახონ ქალის უმანკოება დაუსჯელათ, არა, ჩემო ღირსეულო საქმროვ, ჩემო გიორგი?! ხომ ასე იქნება, ვინემ მე და შენ პირში სული გვიდგა?

**გიორგი.** (მოეხვევა თამროს) რა თქმა უნდა, ჩემო თამრიკო!

**პაპა.** (სიამოვნებით შეყურებს ორივეს) აი, შე კუდრაჭავ შენა! რა კარგი ბიჭი ამოგირჩევია! შვილო ყაფლან! მელანია, ქალო! მოდი დალოცეთ თქვენი თავ-ნება ქალი. (ყაფლანი, მელანია და პაპა რიგზე დადგებიან. გიორგი და თამრო დაიჩოქებენ).

**პაპა.** ღმერთმა გაცოცხლოთ, შვილებო, გამრავლოთ და გადღეგრძელოთ, გაგაბედნიეროთ.

**მელანია.** (პუბლიკ საკენ) როგორ მოგწონთ ბატონებო! შარშანდელი ჩემი ბიჭი ახლა სიძეთ გამიხდა! სასაცილო არ არის ეს ამბავი?! მაშ რა ჯანდაბაა?!..

**ეკ. ახათიანისა.**

(ფარდა)

# პატარა ფელეტონი

**სოფლათ.**

ზაფხულის დილა იყო. ღამის სიბნელისათვის დილის სინათლეს დაეძლია და ღამის გუშაგთ დარაზმულ მოკაშკაშე ვარსკვლავებს, თითქოს ჩასძინებიათო, აღარ სჩანდენ ცაზე. გულწრნდათ გასპეტაკებული ცა ამაყათ დაჰყურებდა ზევიდან დედა მიწას. კეკლუცათ მორთულ ბუნებას, დილის ცვარ-ნამით სიცოცხლე გაორკეცებულს, საუცხოვოთ გადაეშალა ათასფერათ აყვავებული მკერდი და მადლობას უძღვნიდა ზეცას: მთელი არე-მარე, მთელი სამყარო დედა მიწისა ხავერდისებურათ ამწვანებულიყო, და მას ფერადი ყვავილები უჴვად ფენდენ საუცხოვო სურნელოვან სუნს... ასეთი ბუნების კეკლუცი სიდიადე ადამიანში ბადებს ბრძოლის წყურვილს, გულს უტოკავს და გულის წყლულებს უორკეცებს. ოხ ღმერთო! რა მშვენიერია სოფელი! რა მშვენიერი და სადიდებელია ყოველივე მის გარშემო: კეკლუცათ მორთული ტყე, ბუჩქები, ველ-მინდვრები და ათას ნაირი ხეხილიანი ბაღები...

აბა გადახედეთ იმ დიად ნაძვის ხეებს, რომლებიც მაღლობზე ამაყათ გამოჭიმულან! რა ლამაზათ ამშვენებენ იქაურობას, როგორი სიამაყით დასცქერიან სოფელს. მთელი სოფელი თაყვანსა სცემს, შეხარის მის სიტურფე—სილამაზეს. შეხედეთ მის ლამაზათ და კოხტათ შემკულ ტოტებს, რომლებიც სიყვარულის ჰანგით ჩაკონებია გულში თავის საყვარელ მშობელ დედას... რა მშვენიერი სანახავია როცა დილა ადრიანათ, სოფლის ბოლოში, საბალახოთ გაშვებულ საქონელს, მიერეკებიან სოფლის გოგო ბიჭები წყალზე. რა რიგათ მიხტუნავენ ხბორები. აგერა, საცოდავი პატარა გოგო, როგორ გააფთრებული მისდევს ფეხშიშველი იმ გიჟმაჟ ძროხას, რომელმაც აბუჩათ აიგდო თავის პაწია მეხრე და კიდეც გაექცა!.. იქვე მოგესმით დედაკაცის ტირილის ხმა,—ეს იმ პატარა გოგოს დედაა!.. საცოდავი ქმარსა ტირის, ის მოუკლავთ, სიცოცხლე მოუსპიათ ოჯახის მარჩენალისთვის. ამ მოთქმაში იგი შვილის სახელსაც ახსენიებს, ალბათ, ისიც მოუკლავთ!?

აბა შეხედეთ იმ პატარა გოგონას, რა ბადრი მთვარისებური, ლამაზი სახე აქვს, ნამდვილი ანგელოზია, ის ჯერ უმანკოა, მის გულში ჯერ არავითარი ბოროტების ფიქრი არ ბუდობს, ის მხოლოთ დასდევს ცელქ მონავარდე პეპლებს დასაჭერათ..

აგერ, სოფლის მოძღვარიც, როგორ ხითხითებს, როგორ სიხარულით იცინის დედაკაცის ტირილის ხმაზე. ყური უგდეთ მის უშვერ ენით ლაპარაკს, ის ხშირათ საყდრისკენ იშვერს ხელებს, ხშირათ დრამის ფულებს ახსენებს...

ოხ! რა უსამართლობაა, როგორ მონურათ, როგორ ქედ მოხრილნი დადუმებულან ეს სიცოცხლით სავსე ადამიანები, ნეტა რათ არიან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი?..

აგერ სოფლის მამასახლისი, თავისი მწერლით და ჩაფრით... ყური დაუგდეთ: ხალხი შეგროვდა... ხედავთ ყურთა სმენათ გადაიქცა ხალხი! მამასახლისი გაჯავრებული ლაპარაკობს, ნეტა რათ არის გაჯავრებული?

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ისევ თქვენ ათასფრათ, კეკლუცათ მორთულო ყვავილებო, ისევ თქვენ გესაუბრებით, თქვენ უმანკოები ხართ, თქვენ ჯერ პატარები ხართ!.. თქვენ გაიგებთ ჩემი გულის ტკივილს...

რა უსამართლობაა? როგორ დამუნჯდა მთელი სოფელი! აბა უყურეთ, თითქოს ყველას ერთათ პირობა შეუკრავთ და დამუნჯების გზას დასდგომიან. ხედავთ ხმას არავინ იღებს... ეს ვინღა არის?.. ჩარჩი... ჩარჩი... აბა დააკვირდით მის მანჭიაობას, როგორ ქედ მოხრილი დგას მამასახლისის წინ, ნეტა, რასა სთხოვს! მაგრამ ვიცით მისი სულის კვეთება!.. ოხ უსამართლობავ! საბრალო დედაკაცი ისევ ტირის, ისევ მოსთქვამს თავის დაკარგულ ოჯახის მარჩენალ ქმარსა და შვილს. მას ნაკადულივით გადმოდის თვალებიდან ცხელი, დამწველი ცრემლები. ოხ რა მებრალება საბრალო დედაკაცი, რა კარგია იმისთვის ერთი ნუგეშის მიმცემი...

ოხ! რა მეზიზღება ყველა მჩაგვრელი, ყველა მედიდური, რომლებიც თავის გაიძვერობით სულს უხუთავენ მაშვრალთ, ნებას არ აძლევენ თავისუფლათ ამოისუნთქვას...

აგერ როგორ ასისინდენ ბუჩქები! რა გასისინებთ? რა გაშრიალებთ?! გადმოგცათ განა ნიავმა ჩემი გულის ტკივილი? მერე თქვენც ხომ დაჩაგრული ხართ? აბა აიხედეთ მაღლა, როგორ ამაყათ დაგჩერებიათ ზევიდან ნაძვის ხე, თითქოს თქვენი ბრძანებელიაო. თქვენც, ჩემო უმანკოებო პატარა ყვავილებო, რას აშრიალდით? რა გაწყინეთ ისეთი? თქვენ ხომ უმანკონი ხართ? შენ რაღას ირხევი, ნაძვის ხეო? გეწყინათ განა, რომ ჩავაგონე ამ უსუსურ ბუჩქებს, და ამ უმანკო ყვავილებს თქვენი ამაყობა, უდიერობა და გულცივობა?.. ნუ თუ არ გებრალება ეს უსუსურნი, რომ გადაჯდომიხარ თავზე? რას დაგინატრულებია მზის სხივების ნახვას ეგ საცოდავნი? ნუ თუ მთელი სამყარო შენ გეკუთვნის, რომ გაბატონებულხარ და ძალმომრეობით სარგებლობ და ჩრდილავ ყვავილთა ბუჩქებს?!

ხალხი ისევ სდუმს, ხმა ჩაუკმენდია, ენა გაშეშებია, მოძღვარი დასცინის, მამასახლისი და მისი მწერალი ხითხითებენ; ყველაფერი მონობის უღელს განიცდის, საცოდავი დედაკაცი კი, ისევ მოსთქვამს.. ჯერ კიდევ დილაა. თანდათან მზე წამოიწევა და უფრო გაანათებს. ნაძვისაგან მიყენებული ჩრდილი გაიფანტება და გათენდება!..

ი გ—ელი

## პასუხის პასუხი თ-დ ამირაჯიბს.

### „ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებს“

თუ თქვენ ერწმუნებით ბ. მიხეილ გაჩეჩილაძის სიტყვებს მიმინოს შესახებ, რომელიც სიმართლეს მოკლებულია, მაშასადამე ჩვენც უნდა ვერწმუნოთ, მით უმეტეს, რომ თქვენ თითონ აღიარებთ და მრავალი მოწამეც გვყავს, რომელნიც დაამტკიცებენ თქვენს, მ. გაჩეჩილაძეს და სოსიკო მერკვილაძის—სამებობასა, ერთარსებასა და განუყოფელობასა. თქვენ საპასუხო წერილში სწერთ, რომ თქვენთან: „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში, სრულიათ შემთხვევით შემოსულა მ. გაჩეჩილაძე და უამბია თქვენთვის შინაარსი თავის წერილისა. ამის გასაბათილებლათ ჩვენ მოგვყავს თვით მ. გაჩეჩილაძის სიტყვები: „ზაკავკაზიეს“ რედაქტორმა თ-დმა ამირაჯიბმა სასწრაფოთ გამიწვია თავისთან ტელეფონით. როცა მასთან მივედი ქ-ნ ორლოვსკისა და მიმინოს შესახებ მკითხა; მეც დაწვრილებით უამბე, რაც ვიცოდი, მაშინ ოტტისკები მომთხოვა. მე სასწრაფოთ წამოვედი სტამბაში, ავიღე „ვინ არის დამნაშავე“-ს ოტტისკი და სასწრაფოთ წავუღე ამირაჯიბს. პირველი ფელეტონის „გააწნეს“ ოტტისკი მე არ წამიღია. ის წაუღებინებია ვიღაც ასოთ-ამწყობისთვის სოსიკო მერკვილაძეს და იასამანისა და ვასო გადილიასთან გამოტეხილა (იასამანმა და გადილიამაც აღიარეს, რომ ს. მერკვილაძე მართლა გამოტეხილა. რედაქცია). ეს ჩემი პრინციპია. (მშვენიერი პრინციპი ჰქონია). თუ კი თქვენ გააბათილებთ თ-დ ამირეჯიბს, რატომ მე არ მქონდა უფლება ამირაჯიბს გამოვქომაგებოდი?! ისიც კი ვიცი, რომ „ოტტისკები“ ოთხი დღით ადრეა წაღებული, ვიდრე თქვენი ჟურნალი „გუშაგი“ დაიბეჭდებოდა.

აი, თავადო, ესეც თქვენი მოწამე მ. გაჩეჩილაძე!.. მაგრამ იმაზე რაღას იტყვით, რომ თქვენი გაზეთის მუდმივ თანამშრომელ სტუდენტს ბ. ყანჩელს პირველი სტატიის—ფელეტონის „გააწნეს“ ანაბეჭდი, ცენზორის შენიშვნით უბეში, უძევს და საცა თქვენ მუშტი-კრივი გამოიწვიეთ, სწორეთ იმ ბაღში, ვისაცა რა მგონია, აჩვენებს.

ნუ თუ ამაზედაც უარს იტყვით და არც ეხლა გამოტყდებით, რომ „ოტტისკები“ მართლაც და თქვენა გაქვთ?! მ შ ვის მიუცია ქრთამი და ვის ვინ შეუსყიდნია—ბ. ხაჩატუროვს მიმინო, რომელიც არაფერ შუაში არ არის თუ თქვენ—მ. გაჩეჩილაძე და სოსიკო მერკვილაძე?! მაგრამ ამას პირუთვნელი, მიუდგომელი და სწორი სასამართლო გამოარკვევს.—მანამდე კი ვსწყვეტავთ ყოველგვარ კამათს...

ვთხოვთ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი

გამომცემელი **დავით აბდუშელი.**

ელექტრო-მბეჭდავი „სორაპანი“, მადათოვის კუნძული № 1.